არჩილ მეტრეველი

რელიგიისა და რწმენის თავისუფლება

წიგნი I

ზოგადი და ინდივიდუალური ასპექტები

2019

ავტორისგან:

წინამდებარე წიგნი წარმოადგენს სახელმძღვანელოს რელიგიისა და რწმენის თავისუფლების შესასწავლად. ამ უფლების ერთიანი სფერო, მოიცავს სხვადასხვა ზოგად, ინდივიდუალურ, კოლექტიურ და ინსტიტუციურ ასპექტს, უფლებას, თავისუფლებასა და სამართლებრივ ურთიერთობას, რომელთა სუბიექტებიც არიან კერძო პირები, რელიგიური ან სხვა სახის მრწამსის მქონე ჯგუფები და სახელმწიფო. ამ სახელმძღვანელოს ფარგლებში წარმოდგენილი სასწავლო კურსი განეკუთვნება საჯარო სამართლის მიმართულებას, კერძოდ, ადამიანის უფლებების სამართალს და მიზნად ისახავს სტუდენტებისა და სხვა დაინტერესებული პირებისთვის სათანადო ცოდნის გაზიარებას რელიგიისა და რწმენის თავისუფლების, როგორც ადამიანის ფუნდამენტური უფლების, ზოგადი და ინდივიდუალური ასპექტების შესახებ. კურსი შედგენილია ამ უფლებასთან დაკავშირებული ძირითადი საერთაშორისო და ეროვნული სამართლებრივი აქტების, საერთაშორისო და ეროვნული სასამართლოების პრაქტიკისა და შესაბამისი საერთაშორისო საექსპერტო და პოლიტიკური დოკუმენტების საფუძველზე.

მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ წინამდებარე სახელმძღვანელო მხოლოდ რელიგიისა და რწმენის თავისუფლების *ზოგად* და *ინდივიდუალურ* ასპექტებს ეთმობა, რაც თითოეული ამ ასპექტისა და მათში შემავალი საკითხების მოცულობიდან და სწავლების მეთოდოლოგიიდან გამომდინარეობს. ჩვენი მიზანია რელიგიისა და რწმენის თავისუფლების *კოლექტიური* და *ინსტიტუციური* ასპექტები დამუშავდეს დამოუკიდებლად, რაც, საბოლოოდ, შესაძლებელს გახდის მათ გაერთიანებას და რელიგიისა და რწმენის თავისუფლების სრულფასოვან შესწავლას.

სამართლის დოქტორი არჩილ მეტრეველი

რეცენზენტი - პროფესორი მალხაზ ბეგიაშვილი
რედაქტორი - მარინა ჟღენტი
დიზაინერი - მარი ვერულაშვილი

საქართველოს უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2019
საქართველო, თბილისი 0171, კოსტავას ქ. 77
ტელ.: 032 2 55 22 22

© არჩილ მეტრეველი, 2019

ყველა უფლება დაცულია. ამ წიგნის არც ერთი ნაწილი არანაირი ფორმით ან საშუალებით, არ შეიძლება გამოყენებული იქნას ავტორის წერილობითი ნებართვის გარეშე.

ISBN 978-9941-9666-8-2

სარჩევი

პირველი ნაწილი 7

თავი I. რელიგიისა და რწმენის თავისუფლების შესავალი 8

1. რელიგიისა და რწმენის თავისუფლების ცნება და სფერო 8
2. რელიგიისა და რწმენის თავისუფლების ძირითადი ზოგადი და ინდივიდუალური ასპექტები 13
3. რელიგიისა და რწმენის თავისუფლების მომიჯნავე უფლებები 34

თავი II. რელიგიისა და რწმენის თავისუფლების წყაროები 40

1. საერთაშორისო დეკლარაციები, სამართლებრივი აქტები და სახელმძღვანელო დოკუმენტები 40
2. საქართველოს კანონმდებლობა 56
3. საერთაშორისო საექსპერტო დოკუმენტები 64

მეორე ნაწილი 69

თავი III. რელიგიისა და რწმენის თავისუფლების შინაგანი განზომილება 70

1. რელიგიისა და რწმენის თავისუფლების ორი განზომილება 70
2. რელიგიური მრწამსის მიღება, ქონა, შეცვლა ან მასზე უარის თქმა . . 77
3. პირადი რელიგიური მრწამსის გაუცხადებლობის უფლება 85
4. რელიგიისა და რწმენის თავისუფლების შინაგანი განზომილება - აბსოლუტური უფლება 93

თავი IV. რელიგიისა და რწმენის თავისუფლების გარეგანი განზომილება 98

1. რელიგიისა და რწმენის გამოხატვის ფარგლები 98
2. რელიგიისა და რწმენის გამოხატვის ფორმები 108
3. რელიგიური პრაქტიკის არ ქონის უფლება 123

თავი V. რელიგიისა და რწმენის გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვა 126

1. რელიგიისა და რწმენის გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვის საფუძველი 126
2. რელიგიისა და რწმენის გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვის პრინციპები 136
3. რელიგიისა და რწმენის გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვის ლეგიტიმური მიზნები 141

თავი VI. რელიგიისა და რწმენის თავისუფლების ინდივიდუალური და კოლექტიური ბუნება 155

1. რელიგიისა და რწმენის თავისუფლების ორი ბუნება 155
2. რელიგიისა და რწმენის თავისუფლების ძირითადი კოლექტიური ასპექტები 160
3. საქართველოს კანონმდებლობა 174

თავი VII. დისკრიმინაცია რელიგიის ან რწმენის ნიშნით 182

1. რელიგიის ან რწმენის ნიშნით დისკრიმინაციის განსაზღვრება 182
2. კონვენციის ორგანოების პრაქტიკა 193
3. საქართველოს საკონსტიტუციო და საერთო სასამართლოების პრაქტიკა 199

მესამე ნაწილი 209

თავი VIII. კეთილსინდისიერი წინააღმდეგობის უფლება 210

1. კეთილსინდისიერი წინააღმდეგობის უფლება რელიგიისა და რწმენის თავისუფლების ფარგლებში 210
2. კონვენციის ორგანოების პრაქტიკა 215
3. კეთილსინდისიერი წინააღმდეგობის უფლების აღიარება 225
4. ალტერნატიული სამოქალაქო სამსახური 234

თავი IX. რელიგიური მრწამსის გავრცელების უფლება 238

1. რელიგიური მრწამსის გავრცელების უფლება რელიგიისა და რწმენის თავისუფლების ფარგლებში 238
2. კონვენციის ორგანოების პრაქტიკა 244

თავი X. რელიგიური სამოსისა და სიმბოლოების ტარების უფლება 265

1. რელიგიური სამოსისა და სიმბოლოების ტარების უფლება რელიგიისა და რწმენის თავისუფლების ფარგლებში 265
2. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკა 275

თავი XI. არასრულწლოვანთა და მათი მშობლების რელიგიისა და რწმენის თავისუფლება 293

1. არასრულწლოვანთა და მათი მშობლების უფლებები რელიგიისა და რწმენის თავისუფლების ფარგლებში 293
2. არასრულწლოვანთა დაცვა ცალკეული რელიგიური პრაქტიკების მავნე ზეგავლენისგან 302
3. კონვენციის ორგანოების პრაქტიკა 306

თავი XII. რელიგიისა და რწმენის თავისუფლება განათლების სფეროში 321

1. რელიგიისა და რწმენის გამოხატვა სწავლებით 321
2. რელიგიის სწავლება საჯარო სკოლებში 328
3. საგანმანათლებლო პროცესის სუბიექტთა რელიგიისა და რწმენის თავისუფლება 335
4. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკა 343

თავი XIII. რელიგიისა და რწმენის თავისუფლება შრომის სფეროში 350

1. დამსაქმებელთა და დასაქმებულთა უფლებები და ვალდებულებები . 350
2. საჯარო სექტორში დასაქმებულთა რელიგიისა და რწმენის თავისუფლება 357
3. კონვენციის ორგანოების პრაქტიკა 363

თავი XIV. რელიგიისა და რწმენის თავისუფლება სასჯელაღსრულების სფეროში 379

1. პატიმართა რელიგიისა და რწმენის თავისუფლება და სახელმწიფოს ვალდებულებები 379
2. საქართველოს კანონმდებლობა 387
3. კონვენციის ორგანოების პრაქტიკა 393

ბიბლიოგრაფია 408

პირველი ნაწილი

შესავალი

რელიგიისა და რწმენის თავისუფლების შესავალი

რელიგიისა და რწმენის თავისუფლების წყაროები

თავი I. რელიგიისა და რწმენის თავისუფლების შესავალი

რელიგიისა და რწმენის თავისუფლების ცნება და სფერო; რელიგიისა და რწმენის თავისუფლების ძირითადი ზოგადი და ინდივიდუალური ასპექტები; რელიგიისა და რწმენის თავისუფლების მომიჯნავე უფლებები.

1. რელიგიისა და რწმენის თავისუფლების ცნება და სფერო

რელიგიისა და რწმენის თავისუფლება საყოველთაოდ აღიარებული ადამიანის ფუნდამენტური უფლებაა, რომელიც აზრისა და სინდისის თავისუფლებასთან ერთად, გარანტირებულია საერთაშორისო სამართლითა და საქართველოს ეროვნული კანონმდებლობით. ყველა შესაბამისი საერთაშორისო და ეროვნული სამართლის ნორმათა შეჯერებით რელიგიისა და რწმენის თავისუფლება შესაძლოა ასე განიმარტოს:

ყველა ადამიანს აქვს რელიგიისა და რწმენის თავისუფლების უფლება. ეს თავისუფლება მოიცავს ნებისმიერი რელიგიის ან სხვა სახის მრწამსის საკუთარი არჩევანით მიღების, ქონის, შეცვლის ან მასზე უარის თქმის თავისუფლებას. ასევე, საკუთარი რელიგიისა და რწმენის, როგორც ინდივიდუალურად, ასევე, კოლექტიურად, საჯაროდ ან განკერძოებით, ღვთისმსახურებით, სწავლებით, პრაქტიკითა და რიტუალების აღსრულებით გამოხატვის თავისუფლებას.

არავინ უნდა განიცდიდეს იძულებას, რომელიც ლახავს მის თავისუფლებას ჰქონდეს და გამოხატავდეს საკუთარ რელიგიას ან რწმენას, მათ შორის, არავინ უნდა იყოს იძულებული საკუთარი ნების გარეშე გააცხადოს ან გამოხატოს საკუთარი რელიგია ან რწმენა ან იმოქმედოს საკუთარი სინდისის ან რწმენის საწინააღმდეგოდ.

დაუშვებელია ადამიანის ნებისმიერი ფორმით დევნა ან დისკრიმინაცია მისი რელიგიური მრწამსის, პრაქტიკის ან შეხედულებების გამო.

რელიგიისა და რწმენის გამოხატვის თავისუფლება შეიძლება დაექვემდებაროს მხოლოდ იმ შეზღუდვებს, რომლებიც გათვალისწინებულია კანონით, აუცილებელია დემოკრატიულ საზოგადოებაში საზოგადოებრივი უსაფრთხოების, წესრიგის, ჯანმრთელობის, მორალის ან სხვათა უფლებებისა და თავისუფლების დასაცავად და პროპორციულად შეესაბამება მითითებულ ერთ ან რამდენიმე ლეგიტიმურ მიზანს.

რელიგიისა და რწმენის თავისუფლებას გააჩნია განსაკუთრებით ფართო და მრავალფეროვანი უფლებრივ-სამართლებრივი სფერო, რომელიც სხვადასხვა განზომილებასა და ასპექტს აერთიანებს, კერძოდ: **რელიგიურ იდენტობასთან და რწმენის ფენომენთან დაკავშირებულ, შინაგანი და გარეგანი განზომილების, ინდივიდუალურ, კოლექტიურ და ინსტიტუციურ უფლებებს, თავისუფლებებსა და ურთიერთობებს, ასევე, მათი სათანადო უზრუნველყოფისთვის საჭირო სახელწმიფოს საკანონმდებლო, პოლიტიკურ და პრაქტიკულ ვალდებულებებს.**

რელიგიისა და რწმენის თავისუფლება ემყარება ისეთ უზენაეს ღირებულებებს, როგორიცაა ადამიანის ღირსება, თავისუფლება და თანასწორობა და საკუთარი მაღალი მნიშვნელობით თანამედროვე დემოკრატიული საზოგადოების ერთ-ერთი საფუძველია. რელიგიური ან სხვა სახის მრწამსი და რწმენის ადამიანური ფენომენი, განეკუთვნებიან რა პერსონალური თვითგანსაზღვრის უკიდურესად ინტიმურ შინაგან სამყაროს, ადამიანის პიროვნებისთვის იმ სასიცოცხლოდ მნიშვნელოვან ელემენტებს წარმოადგენენ, რომლებიც მის იდენტობასა და პირადი თუ სოციალური ცხოვრების კონცეფციას აყალიბებენ.

რელიგიისა და რწმენის თავისუფლების ფარგლებში ტერმინები **რელიგია** და **რწმენა** ფართოდ განიმარტება და მოიცავს, როგორც თეისტურ (მრწამსი, რომელიც ემყარება ღმერთის და ტრანსცენდენტური სამყაროს კონცეფციას), ასევე, არათეისტურ (მრწამსი, რომელიც არ ემყარება ღმერთის და ტრანსცენდენტური სამყაროს კონცეფციას) მრწამსებს და ამავდროულად, ის ფუნდამენტურად ღირებულია ათეისტების, აგნოსტიკოსების, სკეპტიკოსებისა და რელიგიისადმი გულგრილი პირებისათვის.

რელიგიის ცნების უნივერსალური სამართლებრივი დეფინიცია არ არსებობს. საერთაშორისო სამართლის აქტები, რომლებიც რელიგიისა და რწმენის თავისუფლებას უზრუნველყოფენ, არ მოიცავენ ამ ტერმინის რაიმე

სახის განმარტებას. რელიგიისა და რწმენის თავისუფლების მიზნებისთვის ტერმინი - „რელიგია“ გაიგება უაღრესად ფართო მნიშვნელობით და მის ფარგლებში ექცევა ნებისმიერი რელიგიური მსოფლმხედველობა, მიუხედავად იმისა ის აღიარებულია „ტრადიციულად“ თუ „არატრადიციულად“, მიიჩნევა „ისტორიულად“ თუ „ახლად ჩამოყალიბებულად“, წარმოადგენს „უმრავლესობას“ თუ „უმცირესობას“, გააჩნია „ინსტიტუციური ფორმა“ თუ არა და სხვ. ზოგადად, თითოეული რელიგია, მათ შორის, მისი დოქტრინა, ღვთისმსახურების ფორმები, რიტუალები, ტრადიციები და სხვა პრაქტიკა, იმ ჯგუფის ექსკლუზიური თვითგანსაზღვრის სფეროს განეკუთვნება, რომელიც მას აღიარებს და მისდევს.

რწმენის კონცეფცია, თავისი ფართო მნიშვნელობით, კიდევ უფრო განავრცობს რელიგიისა და რწმენის თავისუფლების ფარგლებს და რელიგიურთან ერთად, მოიცავს ინდივიდუალურ და კოლექტიურ ღირებულებათა სისტემების პრაქტიკულად სრულ სპექტრს, ნებისმიერ მრწამსს, რომელიც თანმიმდევრულობის, ერთიანობის, სერიოზულობისა და მნიშვნელოვნების გარკვეულ დონეს აღწევს. თავის მხრივ, ტერმინი - „მრწამსი“, რელიგიისა და რწმენის თავისუფლების კონტექსტში, შეიძლება განიმარტოს, როგორც პიროვნების ან ჯგუფის მიერ საკუთარი თავის და გარესამყაროს აღქმის და მათ შორის კავშირის განმსაზღვრელი კონცეფცია.[1]

უნდა აღინიშნოს, რომ რელიგიისა და რწმენის თავისუფლება ორი თანაბარმნიშვნელოვანი და ერთმანეთთან განუყოფლად დაკავშირებული შრისგან შედგება. ზოგადი განმარტებით, ერთი მათგანი, ე.წ. „პასიური“ შრე, რელიგიურ მრწამსზე დაფუძნებული იდენტობის ქონას, ხოლო, მეორე, ე.წ. „აქტიური“ შრე, ამ იდენტობის შესაბამისად ცხოვრებას გულისხმობს. სხვაგვარად, მათ რელიგიისა და რწმენის თავისუფლების შინაგანი და გარეგანი განზომილებები ეწოდებათ, რომელთაგან პირველი აბსოლუტური, ხოლო, უკანასკნელი შეზღუდვადი უფლებრივი კატეგორიაა.

მნიშვნელოვანია, რომ პრაქტიკულად ყველა საერთაშორისო აქტი რელიგიისა და რწმენის თავისუფლებას *აზრისა და სინდისის თავისუფლებასთან* ერთად აღიარებს. აზრის და სინდისის თავისუფლება ადამიანის ღირსების ფუნდამენტური ნაწილია, რაც გულისხმობს, რომ პირს უფლება აქვს

---

1 აქედან გამომდინარე, თუ სხვაგვარად არ იქნება მითითებული, ტერმინები „რელიგია“ „რელიგია და რწმენა“ და „რელიგიური მრწამსი“ ყველგან მოიცავს რელიგიისა და რწმენის თავისუფლებით დაცულ ნებისმიერ, მათ შორის, არარელიგიურ მრწამსს.

ნებისმიერი საკითხისადმი გააჩნდეს მხოლოდ საკუთარი ღირებულებების შესაბამისი მოსაზრება (აზრის თავისუფლება) და დამოკიდებულება (სინდისის თავისუფლება). ეს თავისუფლებები, რელიგიისა და რწმენის თავისუფლების მსგავსად, შინაგანი განზომილებით აბსოლუტურია, ხოლო, მათი გამოხატვა, უზრუნველყოფილია რა გამოხატვის ზოგადი თავისუფლებით, ამ უფლების შეზღუდვის კანონით განსაზღვრულ საფუძვლებსა და პრინციპებს ექვემდებარება.

როგორც აღინიშნა, რელიგიისა და რწმენის თავისუფლების სფერო განსაკუთრებით ფართო და მრავალფეროვანია. მასში შემავალი უფლებების, თავისუფლებებისა და სამართლებრივი ურთიერთობების დაჯგუფება შესაძლებელია სხვადასხვა ნიშნით, თუმცა, მოცემული სასწავლო კურსის მიზნებისთვის უნდა გამოირჩეს მისი *ზოგადი და ინდივიდუალური ასპექტები*, კერძოდ:

- ***ზოგადი ასპექტები*** მოიცავს, მაგრამ არ შემოიფარგლება, ისეთი საკითხებით, როგორიცაა: რელიგიისა და რწმენის თავისუფლების შინაგანი და გარეგანი განზომილება, რელიგიისა და რწმენის თავისუფლების ინდივიდუალური და კოლექტიური ბუნება, რელიგიისა და რწმენის გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვა და დისკრიმინაცია რელიგიის ან რწმენის ნიშნით;

- ***ინდივიდუალური ასპექტები*** მოიცავს, მაგრამ არ შემოიფარგლება, ისეთი საკითხებით, როგორიცაა: კეთილსინდისიერი წინააღმდეგობის უფლება, რელიგიური მრწამსის გავრცელების უფლება, რელიგიური სამოსისა და სიმბოლოების ტარების უფლება, არასრულწლოვანთა და მათი მშობლების რელიგიისა და რწმენის თავისუფლება, რელიგიისა და რწმენის თავისუფლება განათლების, შრომის და სასჯელაღსრულების სფეროებში.

რაც შეეხება რელიგიისა და რწმენის თავისუფლების *კოლექტიურ და ინსტიტუციურ ასპექტებს*, უპირველეს ყოვლისა, უნდა აღინიშნოს, რომ მისი პირველადი ინდივიდუალური ბუნების მიუხედავად, რელიგიისა და რწმენის თავისუფლებით სარგებლობა, როგორც წესი, ასევე, ხორციელდება „სხვებთან ერთად“, იმ პირთა წრეში, რომლებიც ერთსა და იმავე მრწამსს იზიარებენ. რელიგიისა და რწმენის თავისუფლების *ზოგადი კოლექტიური ბუნება* ერთიანი კონცეფციაა, თუმცა, მის ქვეშ შესაძლოა გამოიყოს ორი შრე იმის მიხედვით, ამ უფლებით სარგებლობა ხორციელდება „რელიგიური თემის“ ანუ იმ რელიგიური ჯგუფის მიერ, რომელსაც არ გააჩნია იურიდიული პირის სამართლებრივი სტატუსი *(კოლექტიური)*, თუ „რელიგიური გაერთიანების“, ანუ იმ რელიგიური ჯგუფის მიერ, რომელსაც ამგვარი სტატუსი აქვს მოპო-

ვებული *(ინსტიტუციური)*. აქვე უნდა აღინიშნოს ორი ფუნდამენტური საკითხი: პირველი, *კოლექტიურ* და *ინსტიტუციურ* ასპექტებს შორის განსხვავება უფრო მეტად ფორმალური მნიშვნელობისაა ვიდრე არსებითი; და მეორე, ყველაფერი, რაც რელიგიური ჯგუფების ზოგად კოლექტიურ უფლებებს შეეხება, ასევე ვრცელდება იმ არარელიგიური მრწამსების მქონე ჯგუფებზე, რომლებიც დაცულია რელიგიისა და რწმენის თავისუფლებით. უფრო კონკრეტულად რელიგიისა და რწმენის თავისუფლების *კოლექტიური* და *ინსტიტუციური* ასპექტებია:

- ***კოლექტიური ასპექტები*** მოიცავს, მაგრამ არ შემოიფარგლება, ისეთი საკითხებით, როგორიცაა: კოლექტიური ღვთისმსახურების უფლება, რელიგიური თემის ავტონომია და თვითორგანიზების უფლება, ურთიერთობები რელიგიურ თემსა და მის წევრებს შორის, რელიგიური თემის გაერთიანების უფლება და ა.შ. ეს უკანასკნელი წარმოადგენს ერთგვარ გარდამავალ საფეხურს *კოლექტიურ* და *ინსტიტუციურ* ასპექტებს შორის;
- ***ინსტიტუციური ასპექტები*** მოიცავს, მაგრამ არ შემოიფარგლება, ისეთი საკითხებით, როგორიცაა: რელიგიური გაერთიანების დაფუძნების - იურიდიული პირის სამართლებრივი სტატუსის მოპოვების უფლება, რელიგიური გაერთიანების რეგისტრაცია, საქმიანობა და გაუქმება, რელიგიური გაერთიანების საპროცესო უფლებამოსილება, რელიგიური გაერთიანების საქმიანობასთან დაკავშირებული ქონებრივი და ფინანსური რეგულაციები და ა.შ.

და ბოლოს, რელიგიისა და რწმენის თავისუფლების *ზოგად, ინდივიდუალურ, კოლექტიურ* და *ინსტიტუციურ* ასპექტებს შორის არსებული განსხვავებების და თითოეული მათგანის დამოუკიდებელი მნიშვნელობის მიუხედავად, მათი ერთმანეთისგან არსებითი გამიჯვნა შეუძლებელია. ისინი ერთმანეთისგან გამომდინარეობენ, ერთმანეთს განაპირობებენ და ცალკეულ შემთხვევებში, ერთმანეთს ფარავენ. შესაბამისად, მათ შესახებ განყენებული მსჯელობა აკნინებს მათ დამოუკიდებელ ღირებულებას და შეუძლებელს ხდის რელიგიისა და რწმენის თავისუფლების ერთიანი უფლებრივ-სამართლებრივი კონცეფციის ყოვლისმომცველ აღქმას. შესაბამისად, ის ფაქტი, რომ წინამდებარე სახელმძღვანელო და მოცემული სასწავლო კურსი მხოლოდ *რელიგიისა და რწმენის თავისუფლების ზოგად და ინდივიდუალურ ასპექტებს* ეთმობა, არა ამ გაუმართლებელი დაყოფიდან, არამედ, თითოეული ამ ასპექტისა და მათში შემავალი საკითხების სრულფასოვანი შესწავლის მეთოდოლოგიური მიზნიდან გამომდინარეობს.

2. რელიგიისა და რწმენის თავისუფლების ძირითადი ზოგადი და ინდივიდუალური ასპექტები

ამ ქვეთავში თეზისურად არის აღწერილი ყველა ის ძირითადი საკითხი, რომელიც რელიგიისა და რწმენის თავისუფლების ზოგად და ინდივიდუალურ ასპექტებს განეკუთვნება. ამგვარი შესავლის მიზანი მთლიანი კურსის წინასწარი გაცნობა და მის ფარგლებში დამუშავებული ცალკეული საკითხების კომპლექსური აღქმაა, რაც ხელს შეუწყობს მომდევნო თემატურ თავებში მათ შესახებ განვითარებული დეტალური მსჯელობების სათანადოდ გაანალიზებას.

ა) რელიგიისა და რწმენის თავისუფლების ზოგადი ასპექტები

რელიგიისა და რწმენის თავისუფლების ორი განზომილება. რელიგიისა და რწმენის თავისუფლება კომპლექსურად აერთიანებს ორ - შინაგან (Forum Internum) და გარეგან (Forum Externum), განზომილებას. შინაგანი განზომილება, მოიცავს ისეთ უფლებებსა და თავისუფლებებს, როგორებიცაა: *ნებისმიერი რელიგიური მრწამსის მიღების, ქონის, შეცვლის ან მასზე უარის თქმის თავისუფლება* და *პირადი რელიგიური მრწამსის გაუცხადებლობის უფლება*, ხოლო, გარეგანი განზომილება, აერთიანებს *პირადი რელიგიური მრწამსის კანონიერი ფორმებით გამოხატვის თავისუფლებას, რელიგიური პრაქტიკის არ ქონის უფლებას და პირის უფლებას, არ მოქმედებდეს საკუთარი მრწამსისა და სინდისის საწინააღმდეგოდ (კეთილსინდისიერი წინააღმდეგობის უფლება)*. საგულისხმოა, რომ რელიგიისა და რწმენის თავისუფლების შინაგანი და გარეგანი განზომილებები, მათ შორის არსებული განსხვავების მიუხედავად, ერთმანეთთან განუყოფლად არიან დაკავშირებული. რელიგიური მრწამსი, რომელსაც ადამიანი პიროვნულ იდენტობას უკავშირებს, განეკუთვნება არა მხოლოდ მის შინაგან სამყაროს, არამედ, ასევე, განსაზღვრავს მისი სოციალური ცხოვრების წესსა და ურთიერთობების ფორმებს. შესაბამისად, გაუმართლებელი ჩარევა რელიგიისა და რწმენის გამოხატვის თავისუფლებაში, რაც ადამიანს საკუთარი რელიგიური მრწამსის მიხედვით ცხოვრების თავისუფლებას უზღუდავს ან უსპობს, არა მხოლოდ რელიგიის ან რწმენის გამოხატვის თავისუფლების ხელყოფაა, არამედ, ასევე, წარმოადგენს უხეშ შეჭრას ადამიანის შინაგან სამყაროში და პირდაპირ ან ირიბ ზემოქმედებას მის პიროვნულ იდენტობაზე.

რელიგიისა და რწმენის თავისუფლების შინაგანი განზომილება (Forum Internum), როგორც უკვე აღინიშნა, მოიცავს ნებისმიერი რელიგი-

ური მრწამსის მიღების, ქონის, შეცვლის ან მასზე უარის თქმის თავისუფლებას და პირადი რელიგიური მრწამსის გაუცხადებლობის უფლებას. უფრო კონკრეტულად:

- ***რელიგიური მრწამსის მიღების უფლება*** გულისხმობს, რომ ყველა ადამიანი თავისუფალია რელიგიური მრწამსის არჩევაში, რაც, იცავს არა მხოლოდ ნებისმიერი სასურველი რელიგიური მრწამსის, არამედ, ზოგადად, რელიგიური მრწამსის მიღების ან არ მიღების თავისუფლებას;
- ***რელიგიური მრწამსის ქონის უფლება*** გულისხმობს ადამიანის თავისუფლებას გააჩნდეს ან არ გააჩნდეს რელიგიური მრწამსი ზოგადად და აღიარებდეს ან არ აღიარებდეს ამა თუ იმ კონკრეტულ რელიგიურ მოძღვრებას;
- ***რელიგიური მრწამსის შეცვლის ან მასზე უარის თქმის უფლება*** გულისხმობს, რომ ნებისმიერ პირს უფლება აქვს, საკუთარი თავისუფალი არჩევანის საფუძველზე, უარი თქვას აღიარებულ რელიგიურ მრწამსზე და შეცვალოს ის სხვა რელიგიური მრწამსით ან საერთოდ არ მიიღოს ახალი რელიგიური მრწამსი;
- ***რელიგიური მრწამსის გაუცხადებლობის უფლება*** გულისხმობს, რომ დაუშვებელია ადამიანის იძულება მიმართოს რაიმე პასიურ ან აქტიურ ქმედებას, რომელიც წარმოაჩენს მის რელიგიურ კუთვნილებას, მათ შორის, იმას, აქვს თუ არა პირს რელიგიურ მრწამსი, ზოგადად, ან რომელი რელიგიური მრწამსის მიმდევარია, კონკრეტულად.

რელიგიისა და რწმენის თავისუფლების შინაგანი განზომილება, როგორც პიროვნული თვითგანსაზღვრის უკიდურესად ინტიმური სივრცე, ***წარმოადგენს აბსოლუტურ უფლებას***, რომლით სარგებლობაც არ შეიძლება უკავშირდებოდეს რაიმე სახის პირობას ან ექვემდებარებოდეს რაიმე ტიპის შეზღუდვებს.

რელიგიისა და რწმენის თავისუფლების გარეგანი განზომილება (Forum Externum), როგორც უკვე აღინიშნა, მოიცავს პირადი რელიგიური მრწამსის კანონიერი ფორმებით გამოხატვის თავისუფლებას და რელიგიური პრაქტიკის არ ქონის უფლებას. უპირველეს ყოვლისა, რელიგიისა და რწმენის გარეგანი განზომილება ერთნაირად იცავს პირადი რელიგიური მრწამსის გამოხატვის თავისუფლებას, როგორც „თანამოაზრეთა“ წრეში, ასევე, „განსხვავებულებთან“ ურთიერთობაში. პირველი მათგანი, კონკრეტული რელიგიური თემის შიგნით დადგენილი წესებით ცხოვრებაში გამოიხატება, მეორე კი, ფართო და მრავალფეროვან საზოგადოებაში თანასწორობისა და შემწყნარებლობის პრინციპებზე დაფუძნებულ თანაცხოვრებას გულისხმობს. გარდა ამისა, თანაბრად არის დაცული რელიგიისა და რწმე-

ნის, როგორც საჯაროდ, ასევე, განკერძოებით გამოხატვის თავისუფლება. ამასთან, დაუშვებელია, რომ გამოხატვის ეს სივრცეები ერთმანეთის გამომრიცხავ ალტერნატივად განიხილებოდეს. რაც შეეხება, საკუთრივ რელიგიისა და რწმენის „ღვთისმსახურებით", „სწავლებით", „პრაქტიკითა" და „რიტუალების აღსრულებით" გამოხატვას, უნდა აღინიშნოს, რომ ამგვარი კლასიფიკაცია, არსებითად, რელიგიისა და რწმენის გამოხატვის თავისუფლების ვრცელ ფარგლებს უსვამს ხაზს და ამ ტერმინების ვიწრო კონცეპტუალური შინაარსებით არ იზღუდება. ეს იმითაც დასტურდება, რომ ამ ფორმებს შორის არსებული შინაარსობრივი განსხვავებისა და მათი დამოუკიდებელი მნიშვნელობების მიუხედავად, თითოეული მათგანის ზუსტი, ერთმანეთისგან გამიჯნული და თანმიმდევრული დეფინიციების მოძიება პრაქტიკულად შეუძლებელია, როგორც საერთაშორისო, ისე, ეროვნული სამართლის ნორმებსა და სასამართლო პრაქტიკაში. როგორც წესი, ისინი ერთმანეთს ფარავენ და „რელიგიისა და რწმენის გამოხატვის" ერთიან კონცეფციას ქმნიან. მიუხედავად ამისა, მათი შინაარსისა და მნიშვნელობის შეძლებისდაგვარად ნათლად წარმოდგენის მიზნით, ისინი შესაძლოა ასე აღიწეროს:

- ***ღვთისმსახურება*** გულისხმობს ნებისმიერი სახის რელიგიურ თაყვანისცემასა და კულტის მსახურებას, რომელიც მორწმუნეთა მიერ აღსრულდება ინდივიდუალურად ან კოლექტიურად;
- ***რიტუალების აღსრულება*** გულისხმობს ისეთი ტრადიციების, წეს-ჩვეულებების, ცერემონიებისა და რიტუალების შესრულებას, რომლებიც არსებითია ამა თუ იმ რელიგიისთვის, მაგრამ პირდაპირ არ წარმოადგენს თაყვანისცემის ან კულტის მსახურების ინტეგრალურ ნაწილს (მაგალითად: რელიგიური სამოსისა და სიმბოლოების ტარება, კვების წესების დაცვა, დაკრძალვა, ქორწინება და მსგავსი);
- ***სწავლება*** გულისხმობს, ერთი მხრივ, რელიგიური განათლების უზრუნველყოფას რელიგიური თემის/გაერთიანების შიგნით, ხოლო, მეორე მხრივ, რელიგიური მრწამსის გავრცელების რელიგიური თემის/გაერთიანების გარეთ;
- ***პრაქტიკა***, გარდა იმისა, რომ, ფართო გაგებით, რელიგიისა და რწმენის გამოხატვის სინონიმია, როგორც გამოხატვის ერთ ერთი ფორმა, მოიცავს ისეთ არატრადიციულ ქმედებებს, რომლებიც არ არის საყოველთაოდ ცნობილი და აღიარებული, მაგრამ ნამდვილად გამომდინარეობს ამა თუ იმ რელიგიიდან ან რწმენიდან, ან ასეთად მიიჩნევა კონკრეტული პირის პირადი რწმენით.

რელიგიისა და რწმენის გამოხატვის თავისუფლების ფარგლებში, ცალკე უნდა გამოიყოს, ***რელიგიური პრაქტიკის არ ქონის უფლება***. უპირველეს ყოვლისა უნდა ითქვას, რომ ის კონცეპტუალურად განსხვავდება ზე-

მოთ აღნიშნული *პრაქტიკის* ვიწრო საკუთრივი მნიშვნელობისგან და ფართო გაგებით გულისხმობს პირის თავისუფლებას ზოგადად გამოხატავდეს ან არ გამოხატავდეს საკუთარ რელიგიას ან რწმენას და ასევე, უფლებას იძულებით არ მიმართავდეს ღვთისმსახურებით, რიტუალების აღსრულებით, სწავლებით ან პრაქტიკით გათვალისწინებულ კონკრეტული სახის ქმედებას. რაც შეეხება რელიგიისა და რწმენის თავისუფლების გარეგანი განზომილების კიდევ ერთ მნიშვნელოვან ასპექტს, კერძოდ, ***პირის უფლებას არ მოქმედებდეს საკუთარი მრწამსისა და სინდისის საწინააღმდეგოდ (კეთილსინდისიერი წინააღმდეგობის უფლება)***, ის უფრო დეტალურად, ქვემოთ იქნება აღწერილი.

რელიგიისა და რწმენის თავისუფლების გარეგანი განზომილება, როგორც სხვა პირთა ინტერესებთან და უფლებებთან დაკავშირებული კატეგორია, ***არ წარმოადგენს აბსოლუტურ უფლებას*** და ის შეიძლება შეიზღუდოს დემოკრატიულ საზოგადოებაში კონკურენტულ უფლებებსა და თავისუფლებებს შორის აუცილებელი და პროპორციული ბალანსის დაცვის მიზნით.

რელიგიისა და რწმენის გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვა. ზოგადად, რელიგიისა და რწმენის გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვის შესაძლებლობა გამომდინარეობს არა ამ უფლების თავისთავად შეზღუდული ბუნებიდან, არამედ, გარკვეულ გარემოებებში უპირატესი მიზნის მიღწევის აუცილებლობიდან. ეს უპირატესი მიზანი, ზოგადად, არის პლურალიზმი, რაც დემოკრატიული საზოგადოებისთვის დამახასიათებელ მრავალფეროვნებაში განსხვავებულ უფლებებსა და ინტერესებს შორის კომპრომისს ემყარება, კონკრეტულად კი, ეს შესაძლოა იყოს „საზოგადოებრივი უსაფრთხოება, წესრიგი, ჯანმრთელობა, მორალი ან სხვა პირთა უფლებები და თავისუფლებები“, რომელთაც სხვაგვარად შეზღუდვის „ლეგიტიმური მიზნები“ ეწოდებათ. ნებისმიერ შემთხვევაში, რელიგიისა და რწმენის გამოხატვის თავისუფლება შეიძლება შეიზღუდოს მხოლოდ შესაბამისი მკაცრი პრინციპების დაცვით, კერძოდ, მაშინ, როდესაც ეს „გათვალისწინებულია კანონით“, „წარმოადგენს აუცილებლობას დემოკრატიულ საზოგადოებაში“, „ემსახურება ერთი ან მეტი ლეგიტიმური მიზნის მიღწევას“ და „აკმაყოფილებს პროპორციულობის კრიტერიუმს“. თითოეული ეს „პრინციპი“ და „საფუძველი“ („ლეგიტიმური მიზანი“) შესაძლოა მოკლედ ასე აღიწეროს:

პრინციპები:

- ***შეზღუდვა გათვალისწინებულია კანონით***, როდესაც რელიგიის ან რწმენის გამოხატვის თავისუფლების შესაზღუდად გამოიყენება მხოლოდ ის ზომა ან